საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეხური

გაზეთი გამოდის 1932 წლიდან

ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№2 (6383) 3 იანვარი ხუთშაბათი 1990 წელი ფასი 5 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს მკითხველს ვთავაზობთ:

*საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

* პროგნოზი უამრავია

* საბჭო: როგორც დრო მოითხოვს

* მთავარია პროფილაქტიკა...

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

27 დეკემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა, რომელიც გახსნა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ.

დეპუტატებმა პატივი მიაგეს საავტომობილო კატასტროფაში დაღუპული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის გუხულა ჯაფარიძის ხსოვნას.

შემდეგ სესია შეუდგა დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ნუგზარ მოლოდინაშვილმა დამსწრეთ გააცნო ამნისტიის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე კანონის პროექტი, რომელიც მიიღეს.

1991 წლისათვის საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ომარ ვარძელაშვილმა.

მოხსენება საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და რესპუბლიკის 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცების თაობაზე გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა გურამ აბსანძემ.

დასკვნა ამ საკითხზე გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ტარიელ გელანტიამ.

სესიამ მიიღო დადგენილება 1991 წლისათვის საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზის შესახებ. იღებენ კანონს საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, დადგენილებას რესპუბლიკის 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცების თაობაზე.

დეპუტატებმა განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის საკითხი, რომლის გამო კანონის პროექტი წარმოადგინა დეპუტატმა დავით კუპრეიშვილმა.

სესიამ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის კანონი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების დროებითი დებულების საკითხზე გამოვიდა დეპუტატი გიორგი გულბანი.

უზენაესმა საბჭომ მიიღო შესაბამისი კანონი.

რეფერენდუმის კანონის თაობაზე გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი.

სესიამ მიიღო დადგენილება რეფერენდუმის კანონპროექტის პუბლიკაციის თაობაზე მისი საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

დეპუტატებმა განიხილეს საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის საკითხი და მიიღეს დადგენილება შესაბამისი კანონის ამოქმედად შემოღების თაობაზე. მიღებულია საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების კანონი.

სესიამ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩია დეპუტატი მინდია უგრეხელიძე. მის პირველ მოადგილედ—დეპუტატი ვაჟა აბაკელია.

საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად უზენაესმა საბჭომ დანიშნა ვახტანგ რაზმაძე.

28 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგ სხდომაზე გაგრძელდა მის დღის წესრიგში შეტანილ საკითხთა განხილვა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავარ სახელმწიფო არბიტრად უზენაესმა საბჭომ დანიშნა ევტიხი ბენდელიანი.

შემდეგ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ კანონპროექტის გამო გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი თეიმურაზ ქორიძე.

სესიამ მიიღო გადაწყვეტილება კანონპროექტი გამოქვეყნდეს პრესაში საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

როგორც ცნობილია, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრები, როგორც წესი, წყვეტენ თავიანთ სამსახურებრივ თუ საწარმოო საქმიანობას. ამასთან დაკავშირებით წინა დღეს მიღებული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ კანონის შესაბამისი მუხლები განმარტა უზენაესი საბჭოს მუდმივი სამანდატო კომისიისა და დეპუტატის ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ბიძინა დანგაძემ. მანვე წარმოადგინა იმ დეპუტატების სია, რომლებმაც განაცხადა სურვილი არ შეწყვიტონ თავიანთი სამსახურებრივი თუ საწარმოო საქმიანობა და ამავე დროს დარჩნენ უზენაესი საბჭოს წევრებად.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

გლეხური მეურნეობა: როგორია თქვენი აზრი?

პროგნოზი უამრავია

ამ ქვეყნად არსებობისათვის მოსულ კაცს პრობლემებს რა გამოულევს, მაგრამ გლეხურ მეურნეობაზე გადასვლამ უამრავი პრობლემა გაგვიჩინა სოფლის მშრომელებს. ყველაზე მეტად კი ტექნიკის უქონლობა გვაფიქრებს. მალე გაზაფხული მოვა, მიწები დასახნავ-დასამუშავებელია. ცაგერასა და ზოგიშში არსებული 25 უღელი ხარი ვერ აუვა საქმეს, არადა ორივე სოფელს 150 ჰექტარი ფართობი მაინც გვაქვს დასახნავ-დასათესი. რაც შეეხება ჩემს აზრს გლეხური მეურნეობის შესახებ. კარგია, ამაზე უკეთესი რა გინდა, შენი ნაშრომი სახლში მიგაქვს, მაგრამ ჩვენი სოფლის მშრომელები იმდენად მიჩვეული არიან სხვაზე დამოკიდებულ შრომას, რომ დამოუკიდებლობა ბევრი პრობლემის წინაშე გვაყენებს.

გვჭირდება, აუცილებლად გვჭირდება ტექნიკა. ახლაც, ზამთრის ამ დღეებში, მოულოდნელად მოსული დიდი თოვლისაგან რომ გვიხსნას, გზები გაგვიკვალოს, არავითარი საშუალება არ გვაქვს.

მადლობა ღმერთს, რომ ზოგიშში არც თუ ისე მრავლადაა დაკეტილი ოჯახები. შედარებით ამ ხალხმრავალ სოფელს ბევრი პრობლემა დაუგროვდა. სოფლის მაღაზიაში წელიწადზე მეტია ნავთი არავის მოუტანია, სოფლის კლუბი, რომელიც 1972 წლიდან შენდება, ჯერაც არაა მოთავებული, ტელეფონი ბევრ ოჯახს უდგას სოფელში და მათ შორის მეც, მაგრამ წელიწადში 5-6 დღე თუ იმუშავა მადლობელი უნდა დავრჩე, ფულს კი იმის შიშით, რომ არ გადამიჭრან, ყოველ კვარტალში ვიხდი.

ახლა, როცა გზა მიეცა დემოკრატიას, რესპუბლიკის სათავეში ახალი მთავრობაა, იმედიანი განწყობილებით შევეგებეთ ახალ წელს. საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას საახალწლო გამოსვლას გულისყურით ვუსმენდი. რომელმაც ანალიზი გაუკეთა რესპუბლიკაში შექმნილ მდგომარეობას, დასახა სიძნელეებიდან გამოსვლის გზები და საშუალებანი, თითოეულ ქართველს უსურვა 1991 წელი ყოფილიყოს მშვიდობის, ბედნიერების მომტანი და სანუკვარი ოცნების—საქართველოს დამოუკიდებლობის აღსრულების წელი.

ახლა ჩვენი მიზანი ერთია, გავააქტიუროთ შრომა, ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ იმრავლოს მიწის მუშაკთა რიცხვმა, მხოლოდ ეს გზაა ყველაზე ჰეშმარიტი, რაც გაგვაძლიერებს, გაგვაღონიერებს და ჩააქრობს იმ ცეცხლს, დღეს რომ საკოლმეურნეო ბაზრებში ანთია.

ჯიმშერ ხვადაგიანი.

სოფ. ზოგიში.

ახალი წელი დგებოდა...

31 დეკემბრის საღამოა, ზამთრის პირობაზე საკმაოდ უჩვეულო—უთოვლო, სუსხიანსაც ვერ ეტყვი. უჩვეულოდ დამყუდროებულა ჩვენი ქალაქის ქუჩები. კაცის ჭაჭანება არაა, არც მანქანის ხმა არღვევს სიჩუმეს. აქა-იქ სატკაცუნო თუ გავარდება მხოლოდ—ბავშვები ასე ხვდებიან მოახლოებულ ახალ წელს.

21 საათია. ახალგაზრდობის კავშირის რაიონულ ორგანიზაციაში შუქი ანთია. მათაც არ აწყენდათ ოჯახური სიმყუდროვე, სითბო, ტელევიზორთან ჯდომა. არა, მიზანი საქველმოქმედოა—მოულოდნელი სიურპრიზით გაახარონ ადამიანები. რამდენიმე წუთიც და ახალგაზრდები ქალაქსაც გამოაცოცხლებენ. ისინი ეს-ტუმრნენ რაისაავადმყოფოს, მილიციის განყოფილებას. სახანძრო სამსახურს, კავშირგაბმულობის განყოფილებას, მივიდნენ ყველგან, სადაც ადამიანებს სამსახურებრივმა მოვალეობამ უფლება არ მისცა ოჯახში შეხვედროდა ახალ წელს, ამ უპირველეს დღესასწაულს. მივიდნენ და მიულოცეს ავადმყოფებს, საახალწლო საჩუქრები, ტკბილეული დაუბედეს და მათი გაოცებული, სასიამოვნოდ განცვიფრებული სახეების სითბო წაიღეს სახლში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

(დასასრული).

სესიამ განიხილა დებულებანი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშისა და სახელმწიფო ჰიმნის შესახებ. აზრთა გაზიარების შედეგად, უზენაესმა საბჭომ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ნუგზარ მოლოდინაშვილის წარდგინებით შეტანილია ცვლილებანი საქართველოს რესპუბლიკის შრომის შესახებ კანონთა კოდექსის 64-ე მუხლში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გამოხმობის წესის შესახებ კანონპროექტის გამო ინფორმაცია გააკეთა დეპუტატმა გიორგი გულბანმა. ამ საკითხზე თავიანთი მოსაზრებანი გამოთქვეს დეპუტატებმა ეთერ გუგუშვილმა, მინდია ხალუქვაძემ და სხვებმა. ეს კანონპროექტი მიღებულია პირველი წაკითხვით.

ხესიაზე გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ზვიად გამსახურდია, მან თქვა, რომ რესპუბლიკაში შექმნილია უაღრესად რთული და დაძაბული ვითარება და დასვა საკითხი საქართველოს ტერიტორიაზე იმ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა შემდგომი არსებობის დაუშვებლობის შესახებ, რომლებიც თავიანთი მოქმედებით ახდენენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დესტაბილიზაციას, საფრთხეს უქმნიან მოქალაქეთა სიცოცხლეს.

ხესიის განსახილველად გამოტანილი იყო უზენაესი საბჭოს შესაბამისი დადგენილების პროექტი.

ხესიამ მიიღო დადგენილება კანონით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებათა აკრძალვის შესახებ. ინგუში ხალხის ძმური სალამი საქართველოს პარლამენტს, მთელ ქართველ ხალხს გადასცა ხესიაზე გამოსულმა ინგუშეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერმა, დემოკრატიული პარტიის „ნიისხოს“ (სამართლიანობა) თავმჯდომარემ ისა კოძოევმა, ილაპარაკა რა ქართველი და ინგუში ხალხების ტრადიციულ მეგობრობაზე, მან გამოთქვა რწმენა, რომ ახლანდელ პირობებში, ორი ხალხის მიერ ნამდვილი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე ეს კავშირურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდება და განვითარდება.

პრინციპული სჯა-ბაასი ხესიაზე გაიმართა იმის შესახებ, რომ ახლა, იმ პირობებში, როცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მუდმივმოქმედი ორგანოა, გაიზარდა მისი აპარატი, როცა უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიები დასაქმებული არიან ყოველდღიური მუშაობით, აღიძრა მათი საქმიანობის სათანადო პირობების შექმნის საკითხი, ამასთან დაკავშირებით საჭიროა მთავრობის სახლის შენობა მთლიანად გადაეცეს რესპუბლიკის პარლამენტს. ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში აღიძვრება საკითხი ჯერჯერობით აქ მყოფი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და ზოგიერთი სამინისტროსათვის შენობის გამოძებნის შესახებ. შექმნილ სიტუაციაში, დეპუტატთა უმრავლესობის აზრით, ოპტიმალურად წარმოგვიდგება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობის გადაცემა რესპუბლიკის მთავრობისა და ამ სამინისტროებისათვის.

საქართველოს კომპარტიისაგან დეპუტატთა ჯგუფის განცხადება ამ საკითხზე წაიკითხა დეპუტატმა თამაზ ჯანელიძემ. ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნება უახლოეს დღეებში.

ინფორმაციო სააგენტო „საქართველო“ (საქინფორმი)

ენერგია ქვირდება, რატომ?

ძალაქებში მოსახლეობა კილოვატ საათში 2-4 კაპიკს იხდის, ხოლო სოფლებში უფრო ნაკლებს—სულ ერთ კაპიკს.

როგორ შეიცვლება ეს ფასები საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დროს—ვერ ვიწინასწარმეტყველებთ. მაგრამ სამრეწველო საწარმოები და ორგანიზაციები 1992 წლიდან ელექტრონულ და სითბურ ენერგიაში მნიშვნელოვნად მეტს გადაიხდიან, ვიდრე ახლა.

—საამისოდ რამდენიმე მიზეზი არსებობს,—ამბობს სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მინისტრი ე. პეტრიაევი—წელს, მაგალითად, გაორკეცდება სათბობის ფასები. ეს კი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ენერგიის ღირებულებას. ძვირდება ტრანსფორმატორისა და ტურბინის ზეთი, სხვა მატერიალური რესურსები. მოგვიწევს გადავიხადოთ მიწით, წყლით სარგებლობისათვის, ელექტროსადგურების მიერ ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გამოფრქვევისათვის, ყველა ეს ხარჯები ტარიფებს დააწევება.

აქამდე ხარჯების დიდი ნაწილი, როგორც ცნობილია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან იფარებოდა. წელს პოლიტიკა შეიცვლება. ბიუჯეტი დააფინანსებს მხოლოდ იმ ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობას, რომლებსაც საკავშირო ან სარეგიონთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ესენია—ატომური, დიდი თბო—და ჰიდროელექტრული ელექტროსადგურების, აგრეთვე ხუთასი კილოვატი და უფრო მეტი სიმძლავრის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა, რომლებიც რეგიონებს აერთებენ ერთმანეთთან. ამ მიზნით გათვალისწინებული ხარჯები შეადგენს დარგისათვის გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდებების ოცდაათ პროცენტს. დანარჩენი სახსრები უნდა შედგეს ადგილობრივი ბიუჯეტის, ტარიფების ხარჯზე, ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობისას ენერგიის მომხმარებელთა საქმიანი მონაწილეობით.

—ვინ განსაზღვრავს ენერგიის ფასებს?

დღევანდელ პირობებში, როცა რესპუბლიკებმა სუვერენიტეტი და ეკონომიკური დამოუკიდებლობა მოიპოვეს, მათთვის ცენტრიდან ტარიფების დაშვებას აზრი არ აქვს. მაგრამ სახელმწიფოს უნდა შერჩეს ფასების რეგულატორის ფუნქციები, თორემ ისინი შეუკავებლად გაიზრდება.

ჩვენ შევიმუშავეთ და სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტსა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს შევუთანხმეთ დროებითი დებულება ელექტრული და სითბური ენერგიების ტარიფების სახელმწიფო რეგულირების შესახებ. ამის შესაბამისად 1991 წლიდან თითოეული რეგიონი ადგილობრივი პირობებისა და ენერგიის წარმოებაზე გაწეული ხარჯების შესაბამისად თავიანთ ტარიფებს დააწესებენ.

—ახლა გადავიდეთ მთავარ საკითხზე. რამდენით მოიმატებს ტარიფები ენერგიაზე?

სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტმა საშუალოდ 45 პროცენტით დაამტკიცა. ეს მოხდა თებერვალში. მოგვიანებით სიტუაცია შეიცვალა: მოიმატა საწარმოთა სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ანარიცხების ოდენობამ, ჩვენს დარგში ისინი 1991 წლისათვის დადგენილია 37 პროცენტი, ნაცვლად წინანდელი 10-13 პროცენტისა. ენერგეტიკულ საწარმოებს ხელმეტი ფული არა აქვთ. ისე რომ, დამატებითი ხარჯები ენერგიის ღირებულებას დაეკისრება.

—შეუძლიათ თუ არა ტარიფების შეცვლა ადგილობრივ საბჭოებს?

—ამის უფლება მათ მიიღეს. გაუთვალისწინებელი ხარჯების შემთხვევაში საბჭოებს ენერგოსისტემის შუამდგომლობით შეუძლიათ სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დადგენილი ტარიფების აწევა კიდევ თხუთმეტი პროცენტით. მთავარია—ეს ხარჯები რეალურად დასაბუთონ.

—მაშასადამე, წელს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ტარიფები ენერგიაზე ერთნახევარჯერ და უფრო მეტად გაიზრდება. მკითხველებს, ბუნებრივია, დაინტერესებს, როგორ იმოქმედებს ეს მათს ოჯახურ ბიუჯეტზე. ენერგიის გაძვირებას მრეწველობა ხომ თავის პროდუქციაზე გადაიტანს. შესაბამისად მოსახლეობას მოუწევს მეტი გადაიხადოს ტანსაცმელში, ფეხსაცმელში, ავეჯში და სხვა საქონელში. რა თანხებით?

—ენერგიაზე სახალხო მოთხოვნილების საქონლის ღირებულების არაუმეტეს ერთი პროცენტი მოდის. ისე რომ, მოქალაქეთა საოჯახო ბიუჯეტში ხარჯებს არ შეეტანთ.

შიმშილობდა მთავარი რედაქტორი

ათი დღე შიმშილობდა ჟურნალ „სჩასტეს“ მთავარი რედაქტორი სტანისლავ შევერდინი. შიმშილობის მიზეზი იყო კონფლიქტი სიფხიზლისათვის ბრძოლის საკავშირო ნებაყოფლობით საზოგადოებასთან.

17 ოქტომბერს ზემოთხსენებულმა საზოგადოებამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც უხდომლობას უცხადებდა ჟურნალის რედაქტორს, ამას მოჰყვა ბრძანება სამსახურიდან მისი დაუყოვნებელი გათავისუფლების შესახებ. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც შევერდინი რედაქციის კოლეგიამ ბეჭდვითი კანონის შესაბამისად აირჩია რედაქტორად.

თავისი უფლების დასაცავად რედაქციამ სასამართლოს მიმართა, მაგრამ სანამ სასამართლო საქმეს იკვლევდა რედაქციაში მუშაობა იყო საჭირო, ხოლო შევერდინის რედაქტორობით გამოსული ჟურნალის მეთერთმეტე ნომერი დისკრიმინაციას განიცდიდა ამავე ჟურნალის დროებითი რედაქტორის მიერ.

აღნიშნული სიტუაციიდან გამოსავალი რომ ვერ იპოვეს, რედაქციის თანამშრომლები შეუერთდნენ მოშიმშილე რედაქტორს. იგივე განმეორდა ჟურნალ „ჩელოვეკ ი ზაკონის“ რედაქციაში, შიმშილობა გამოაცხადა რედაქტორის მოადგილემ აკოფიანმა.

როცა ეს სურათი მზად იყო, შევერდინმა შიმშილობას თავი ანება განაცხადა, რომ მიდიოდა ლენინგრადში კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად.

სურათზე: აქ, სამუშაო კაბინეტში მიმდინარეობდა შევერდინის შიმშილობა.

ჩვენ გვნერენ

ბოლომდე მივიყვანოთ დაწყებული საქმე

დღევანდელ სიტუაციაში არ მეგულვება ნორმალური ადამიანი, რომელსაც არ აინტერესებდეს ჩვენი რაიონის, რესპუბლიკის და მთელი მსოფლიოს მიმდინარე პროცესები. ჩვენ ამას ვეცნობით პრესის, რადიოს და ტელევიზიის საშუალებით. ლუხვანოში არ არის ოჯახი, რომელსაც რამდენიმე სახის ჟურნალ-გაზეთი არ ქონდეს გამოწერილი, მიუხედავად მათი ფასების ზრდისა, თუმცა პრესის დაგვიანებით მიღების გამო ახალ ამბებს ერთი კვირის შემდეგ ვიგებთ.

ლუხვანოში რამდენიმე წელია რადიოს ხაზი დაზიანებულია და რადიო აღარ მუშაობს. უარეს მდგომარეობაშია ტელეგადაცემები. ტელევიზორი გვაქვს, მაგრამ რად გინდა, როცა ზოგიერთ ოჯახში მარტო გამოსახულება აქვს და ხმას არ იღებს, ზოგან ხმოვანება დიდებული აქვს, მაგრამ ვერაფერს ვხედავთ, ზოგან არც ერთია და არც მეორე. რა თქმა უნდა, ეს იწვევს მოსახლეობის გულისტკივილს, მაგრამ რას ვიზამთ.

გაზეთ „ლეჩხუმში“ წავიკითხე წერილი სათაურით „ლაპარაკობს და უჩვენებს ცაგერი“, ლაპარაკია, რომ მოეწყობა ადგილობრივი, რაიონული ინფორმაციების გადაცემა, ვიდეო (ეს უკანასკნელი იქნება ფასიანი).

ამ ცნობამ ლუხვანოს მცხოვრებთა დიდი ინტერესი და სიხარული გამოიწვია და იმედით აღგვავსო. ეს დიდებული საქმე ალბათ ბევრ ფინანსურ თუ სხვა სიძნელეებთან იქნება დაკავშირებული. ჩვენ, ლუხვანოელი მშრომელები, გვერდში ამოვუდგებით ყველას, ოღონდაც ბოლომდე მივიყვანოთ დაწყებული საქმე.

ვანო სალინაძე,
ომისა და შრომის ვეტერანი.
სოფ. ლუხვანო.

ᲡᲐᲑᲭᲝ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲠᲝ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ

ᲠᲝᲪᲐ ლასურიაშის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში შევედით მაღალი ძაბვისა და შიდაელექტროქსელების, თვით ელექტროგადამცემი ხაზების საყრდენი ბოძების ავარიულობაზე და თოვლის მოსვლის შემთხვევაში ელექტროენერგიის მოსახლეობისათვის შეწყვეტის მოსალოდნელობაზე მსჯელობდნენ. ჩვენც ჩავერიეთ საუბარში, სხვა საკითხებიც წამოიჭრა და მათთან საუბარმა, საბჭოს აღმასკომის მუშაობის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ საბჭოს აღმასკომის, დეპუტატების, აქტივის მუშაობის მთავარ შიმართულებას წარმოადგენს მშრომელთა კეთილდღეობასთან დაკავშირებული საკითხების, რეგიონის სოციალურ-კულტურული განვითარების, მშრომელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ზრდისა და სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტისათვის ზრუნვა.

საბჭოს სესიებზე, აღმასკომის სხდომებზე ახლა უფრო ხშირად განიხილავენ სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ, მოსახლეობის ჯანმრთელობის, კულტურული მომსახურების, სახალხო განათლების შემდგომ გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს, სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს, იბრძვიან მათი შესრულებისათვის.

საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობით, დეპუტატთა ინიციატივით და აქტივის უშუალო მონაწილეობით ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა სასოფლო გზების, სასმელი წყლებისა და მოსახლეობის კეთილდღეობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოგვარებისათვის. კეთილმოეწყო სოფელ დეხვირის, ლასურიაში-მახაში-აღვის საავტომობილო გზები და ამ ტრასებზე რეგულარულად მოძრაობს სამარშრუტო ავტობუსები.

სასოფლო საბჭოს აღმასკომმა, სოფლის მშრომელებმა ბევრი რამ გააკეთეს მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის საქმეში. შედგენილია პროექტი დეხვირში ახალდასახლება ლესინდის უბნის წყლით მომარაგებისათვის, რომელიც სასმელი წყლით უზრუნველყოფს არა მარტო ამ უბანს, არამედ დეხვირის ყველა უბნის მცხოვრებლებს.

კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდა სასოფლო კულტურის სახლს, ადგილობრივი ძალებით აშენდა დეხვირის არასრული საშუალო სკოლის შენობა. მთავრდება დეხვირისა და მახაშის სასოფლო კლუბების მშენებლობა. ლასურიაშის კავშირგაბმულობის განყოფილების შენობაში დამონტაჟდა და ამოქმედდა დამატებით 50 ნომრიანი ავტომატური სადგური. კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის მუშაკებს გვერდში ამოუდგა ლასურიაშის, მახაშის, დეხვირის, ლესინდის მოსახლეობა და ყველა უბანში, გარდა ნაბოგირებისა, აღდგენილ იქნა და ყველა ოჯახში მუშაობს რადიო. კანაჩაძეების უბანში „წინწკილას“ ღელეზე აიგო რკინის კონსტრუქციის 7 მეტრიანი ხიდი.

გააქტიურდა ზოგიერთი მუდმივი კომისიის საქმიანობაც. ისინი ახლა უფრო მიზნობრივად ხელმძღვანელობენ სოფლის მშრომელთა მტკივნეული საკითხების გადაწყვეტას.

წინა წლებთან შედარებით შემცირდა ნეგატიური მოვლენები, დანაშაულობანი, მაგრამ ამ მიმართებით გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. მართალია საბჭოს აღმასკომისა და მისი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიის მუშაობის შედეგად შემცირდა ოჯახური და მეზობლური დავები, მაგრამ ეს დავები მთლიანად აღკვეთილი არ არის.

საბჭოს აღმასკომს ბევრი აქვს გასაკეთებელი მშრომელთა კეთილდღეობის, მათი სოციალურ-კულტურული მომსახურების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე დაყენებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში.

მაღალი ძაბვისა და შიდა ელექტროქსელები მოითხოვს გაძლაუდებელ კაპიტალურ შეკეთებას. 20 წელზე მეტია ქსელის რემონტი არ ჩატარებულა, ბევრ უბანში ელექტროგადამცემი ხაზები ავარიულ მდგომარეობაშია, ამის შესახებ მრავალჯერ დაისვა საკითხი ზემდგომ ორგანოებში, მაგრამ შედეგი არ არის.

დასაჩქარებელია დეხვირისა და მახაშის სასოფლო კლუბების მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამუშაოები.

სასოფლო საბჭოს აღმასკომს, მათ დეპუტატებს ახლა ყველაზე მეტად აწუხებთ მიწათსარგებლობაში გამეფებული განუკითხობა. კოლმეურნეობის გაუქმებისა და გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის ეტაპზე მიწათსარგებლობას კანონის არ არსებობა [illegible] ზოგიერთი მეურნე [illegible] ბა. ადგილი აქვს მიწებისა და მრავალწლიანი ნარგავების მიტაცებას, ბალ-ვენახების პირუტყვისგან განადგურებას.

მშრომელთა სოციალურ-კულტურული მომსახურების, მათი კეთილდღეობის გაუმჯობესების, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში გასაკეთებელი კვლავ ბევრი აქვს სასოფლო საბჭოს. მის აღმასკომს, მუდმივმოქმედ კომისიებს, დეპუტატებს. რომელთა გადაწყვეტისათვის მეტი აქტივობა და ორგანიზებულობა მართებთ. საჭიროა ახლებურად, მოთხოვნათა შესაბამისად გარდაქმნან მუშაობა.

ᲕᲚ. ᲓᲐᲕᲘᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ.

ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ უჩვეულოდ თბილი და მზიანი დღე იდგა 7 დეკემბერს, გაკვეთილების შემდეგ ცაგერის საშუალო სკოლის ეზოდან ავტობუსმა გეზი აიღო ცაგერი—თბილისი—მცხეთა—დიდგორი—თბილისი—ცაგერი. ასეთი გახლდათ მარშრუტი სამდღიანი სასწავლო ექსკურსიისა, რომელიც მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებმა მოაწყვეს სკოლის დირექციის წარმომადგენლებთან ერთად.

ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ

კიდევ ერთი ლამაზი ფურცელი

ავტობუსი გვიან ღამით ჩავიდა თბილისში, ის ღამე წუნეთის ტურბაზაში გავათენეთ და დილადრიან გავეშურეთ მცხეთისკენ, რათა გვეხილა მშვენება სვეტიცხოვლისა.

—„ხელოვნებაა თავად უკვდავება, მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი“... თითქოს ერთმანეთს წასჩურჩულესო ბავშვებმა, როცა სვეტიცხოველის ეზოში შეაბიჯეს უმალ გაიჭიმა რიგი სანთლების ჯიხურთან, აქვე შეიძინეს ლოცვები და ხატები, წმინდა სანთლები, დარწმუნებული ვარ, თითოეული მათგანის უპირველესი სალოცავი საქართველო და მისი ბედნიერი მომავალი იყო, კარგა ხანს ილოცეს ტაძარში, მერე გარეთ გამოვიდნენ და გაუყვნენ ბილიკს, რომელიც სვეტიცხოველის გალავანს მისდევს თან... მერე დიდხანს სამრეკლოსთან შეყოვნდნენ, დიდი მოწიწებით შეაცქეროდნენ სვეტიცხოველის ზარებს, თითქოს ახლაც ესმითო მათი გუგუნი... დიდხანს უცქირეს... მერე პირჯვარი გარდაიხადეს, ალბათ საქართველოს თავისუფლება შეავედრეს უფალს, ირგვლივ საოცარი სითბო იგრძნობოდა, თითქოს ყველა მათგანი ერთი მიზნისათვის იყო მოსული, შემდეგ ყველაფერი ფოტოსურათზე აღიბეჭდა და, ყველანი ავტობუსისაკენ გავემართენით.

ავტობუსში კი იყო ტკბილი მოგონებები, ბავშვობასთან, სკოლასთან მოახლოებული განშორების ტკივილი, უამრავი ოცნება, სითბო და სიყვარული... ვუცქერდი მეთერთმეტე კლასელებს და რატომღაც ვგრძნობდი, რომ ამ დღეს მათ განსაკუთრებით უყვარდათ ერთმანეთი.

ახლა ავტობუსმა დიდგორისკენ გადაუხვია და საუბრის თემაც სასწრაფოდ შეიცვალა, გაიხსენეს იმ ომის ისტორია, რომელიც დიდგორის ველზე გაიმართა, კიდევ ერთხელ დიდებით მოიხსენიეს ქართველი ვაჟკაცების თავდადება... გზა სულ უფრო მაღალ მთებში მიემართებოდა, ირგვლივ კი სულ ტყე და ტყე. საოცრად ლამაზი იყო ყველაფერი, მერე უცებ ბავშვებმა წელიწადის ყველა დრო დახატეს ამ ტყეში... იყო ოცნება... ბევრმა მხატვრობაც ინატრა, გზას კი დასასრული არ უჩანდა... ისე მაღლა ავედით, რომ კინაღამ ბავშვობის ოცნება ავისრულეთ—ცას შევწვდი ხელებით და აი, გადაიშალა თვალუწვდენელი სივრცე, გამოჩნდა მერამ ბერძენიშვილის „შესანიშნავი ქმნილება, რომელიც ალბათ ყველა ქართველმა უნდა იხილოს. თითოეულმა ჩვენგანმა თვალნათლივ გაიხიგრძეგანა ის ბრძოლა და ქართველთა თავდადება, რომელიც აქ, ამ მიწაზე მოხდა, თითქოს ყველა ჩვენთაგანი ბრძოლისათვის განწყო იმ ქართველი ვაჟკაცის ხილვამ, რომელიც ბუკით ხელში მოუწოდებს ბრძოლისაკენ.

დიდგორის ხილვა იყო კულმინაცია ექსკურსიისა. ეს იყო უდიდესი სიამოვნება, რაც მეთერთმეტე კლასელებმა განიცადეს. თითქოს რაღაცით ვალი მოიხადესო და აქედან მიწა წამოიღეს თან. შეეკურებდი მათ სახეებს და ვირწმუნე, რომ ეს ის ქართველი გოგო-ბიჭებია, რომლებსაც საკუთარი სიცოცხლე არაფრად უღირთ საქართველოსათვის, ეს ის ახალგაზრდები არიან, რომელთაც უნდა მოუარონ საქართველოს და მოუვლიან კიდეც.

ასე დამთავრდა ექსკურსია, რომელიც კიდევ ერთ ლამაზ ფურცლად ჩაიწერება იმ ისტორიაში, რომელსაც მოსწავლეობა ჰქვია.

ასეთი სახის ექსკურსიები, რომლებიც ნამდვილად არ აკლიათ ჩვენი სკოლის მოსწავლეებს, ვფიქრობ, აუცილებელია, რადგან მოსწავლე-ახალგაზრდობას, რომელთა პიროვნებაც ახლა ყალიბდება ჭეშმარიტ მამულიშვილად, არასოდეს დაავიწყდეს ვინ გორიხაა.

...რამდენიმე თვეც და მეთერთმეტე კლასელები სკოლის კარს გაიხურავენ... ღმერთო მაღალო, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელო, შენ დაულოცე გზა საქართველოს თავისუფლებისაკენ მიმავალ ქართველ ახალგაზრდობას.

ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘ.

ცაგერის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის გამგე.

ᲛᲗᲘᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲐᲥᲢᲘᲙᲐ

ᲜᲔᲑᲐᲧᲝᲤᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲮᲐᲜᲓᲠᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲪᲐᲒᲔᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

26 დეკემბერს ჩატარდა ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცაგერის რაიონული ორგანიზაციის მე-15 კონფერენცია. კონფერენციას წინ უსწრებდა პირველადი ორგანიზაციების ანგარიშგება-არჩევნები, რომლებმაც აირჩიეს კონფერენციის დელეგატები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საგეგმო განყოფილების უფროსი გივი თურქაძე, რომელმაც წაიკითხა პრეზიდიუმის მისასალმებელი ტექსტი კონფერენციისადმი.

კონფერენციამ დაამტკიცა დღის წესრიგი: 1. ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რაიონული საბჭოს ანგარიში. მომხსენებელი ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ახვლედიანი.

2. ცაგერის ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რაიონული საბჭოს სარევიზიო კომისიის ანგარიში მომხსენებელი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე კაპიტო ჩიქოვანი.

3. არჩევნები:

ა) ცაგერის ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რაიონული საბჭოს;

ბ). სარევიზიო კომისიის;

გ). საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების მე-6 ყრილობის დელეგატის.

კონფერენციაზე ითქვა—ნსს-ის რაიონული საბჭო საანგარიშო პერიოდში მუშაობას წარმართავდა საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების მეხუთე ყრილობის და ნსს ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მოთხოვნათა, წლიური, კვარტალური და ყოველთვიური სამუშაო გეგმების შესაბამისად. ილაპარაკა - იმ პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე, რომლებიც ნსს-ის რაიონულმა საბჭომ გაატარა საანგარიშო პერიოდში.

აღნიშნა აგრეთვე, რომ მთელ რიგ წარმოება-დაწესებულებებში, კომუნალური მეურნეობის და კერძო საცხოვრებელ სახლებში ელექტრო შიდამონტაჟი ხანდაზმულობის გამო გამოსაცვლელია მთლიანად, რაც ვერ ხერხდება ელექტრომასალების სიმკირის გამო.

მომხსენებელმა კონფერენციის სახელით თხოვნით მიმართა რაიკოოპერატივის ხელმძღვანელობას, რომ სამეურნეო მაღაზიებში შესაძლებლობის ფარგლებში შემოტანილ იქნეს ელექტრო მასალები.

კვალიფიციური სპეციალისტების მიერ მოწყობილი ელექტრო შიდამონტაჟი, სახანძრო უშიშროების წესების ზუსტი დაცვაი სრულ გარანტიას იძლევა რაიონში ხანძრის შემთხვევების მინიმუმამდე შემცირებისა, რამეთუ მომხდარი ხანძრების 80 პროცენტი ელექტროგაყვანილობის უწესივრობის შედეგია.

კონფერენციაზე ითქვა, რომ მიუხედავად გატარებული პროფილაქტიკური ღონისძიებებისა, ჩატარებული ხანძარსაწინააღმდეგო ლექციებისა და საუბრებისა, რაიონულ გაზეთში გამოქვეყნებული წერილებისა და რადიოგადაცემის საშუალებით მრავალგზის მოწოდებისა, საანგარიშო პერიოდში რაიონში მოხდა 30 ხანძრის შემთხვევა, რის შედეგად ზარალმა 164.132 ათასი მანეთი შეადგინა. მართალია, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით ხანძრის რაოდენობა 9 ერთეულით შემცირდა, მაგრამ ზარალი გაიზარდა 76,564 ათასი მანეთით, რაც გამოწვეულია იმით, რომ დაიწვა რაიკოოპერატივის 4 მაღაზია, რომელმაც 103 588 მანეთის ზარალი მისცა სახელმწიფოს.

სიტყვებით გამოვიდნენ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე კაპიტო ჩიქოვანი, კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ნსს-ის თავმჯდომარე გრიგოლ ბენდელიანი, კომუნალური საწარმოთა კომბინატის ბინათმმართველი კოსტა სილაგაძე, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი ლიონერ მეშველიანი, ნსს-ს რაიონული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გალაქტიონ მანდარია, რესპუბლიკის ნსს ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საგეგმო განყოფილების გამგე გივი თურქაძე.

კონფერენციამ ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების მუშაობა საანგარიშო პერიოდში დამაკმაყოფილებლად შეაფასა, აირჩია ნსს რაიონული საბჭო, სარევიზიო კომისია. ნსს რაიონული საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ნოდარ ახვლედიანი, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ კაპიტო ჩიქოვანი. 1991 წლის მარტში გაიმართება საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების მე-6 ყრილობა, რომლის დელეგატად არჩეულ იქნა ნოდარ ახვლედიანი.

კომენტატორის შენიშვნები

ერთიანი ევროპისაკენ გადადგმული ნაბიჯები

საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ხელმოწერილი ხელშეკრულება კეთილმეზობლობის, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ყველგან აღიქვეს არა მარტო როგორც ორ ქვეყანას შორის კავშირების განვითარების აქცია, არამედ როგორც საერთოევროპული ნდობის განმტკიცების ღონისძიებაც. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰანს-დიტრიხ გენშერის სიტყვით, ეს დოკუმენტი თავისთავად წარმოადგენს „ევროპაში მჭიდრო თანამშრომლობის კეთილ მაგალითს", იგი ხელს შეუწყობს კონტინენტზე ხანგრძლივი მშვიდობიანი წესრიგის დამყარებას.

ამჟამად არსებობს ორი პარალელური პროცესი, რომელშიც მიმდინარეობს ევროპის მშენებლობა: ერთი მხრივ, ორმხრივი ხელშეკრულებები ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ყველა პარტნიორთან, ხოლო მეორე მხრივ, —კოლექტიური აქციები. ორივე პროცესი ერთმანეთს ავსებს და ერთმანეთის გარეშე წარმოუდგენელია.

ჩვენი კონტინენტის ქვეყნები ესწრაფვიან მიაღწიონ ევროპის ერთიანობას კანონისა და დემოკრატიის განუხრელი დაცვის საფუძველზე ევროპის ყველა ხალხების ინტერესებისათვის. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულების პირველი მუხლის დებულება, სადაც ორივე მხარე ხაზს უსვამს, რომ „ისინი თავიანთი პოლიტიკის ცენტრში აყენებენ ადამიანს მისი ღირსებითა და უფლებებით, ადამიანის პრსებობისათვის ზრუნვას". ყურადსაღებია, რომ ამავე პრინციპს ემყარება საერთო ევროპული სახლის მშენებლობის კონცეფციაც.

ეს კონცეფცია ორიენტირებულია მშვიდობის განმტკიცებაზე, სტაბილურობასა და უშიშროებაზე, რათა ევროპა გადაიქცეს სამართლის, დემოკრატიისა და ყველა დარგში თანამშრომლობის ერთიან სივრცედ. მაგრამ იმაზე, თუ როგორ გადაწყდება მთავარი საკითხი—კონტინენტის უშიშროება, დამოკიდებულია რამდენად მტკიცედ ჩაეყრება საძირკველი საერთოევროპულ სახლს. ასეთი მიზანმიმართულება გულისხმობს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ფარგლებში შეიქმნას სხადასხვა სახის მუდმივი დაწესებულებები და ორგანოები როგორც საკონსულტაციო ან მაკოორდინირებელი ხასიათის, ისე მიღებულ გადაწყვეტილებათა ან ხელმოწერილ შეთანხმებათა კონტროლის ფუნქციების მინიჭებით.

საქართველოში ერეკვნული ბიბლიოთეკა მოდერნიზებული

ნიტრატსაზომი

ქარხანა „თბილხელსაწყო" შეუდგა ნიტრატსაზომის სერიულ გამოშვებას.

—პირველი ხელსაწყო,—თქვა თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს" მთავარი ინჟინრის მოადგილემ ედიშერ ხუციშვილმა,—მოდერნიზებული ვარიანტია ნამუშევრისა, რომელიც თავის დროზე განახორციელა გაერთიანების სპეციალისტთა ჯგუფმა. მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტებით დადგენილია, რომ განახლებული სახით ნიტრატსაზომი ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლით აღემატება ანალოგიურ ხელსაწყოს, რომელსაც წლების განმავლობაში აწარმოებდა თბილისის ანალიზური ხელსაწყოთმშენებელი საცდელი ქარხანა.

საყურადღებოა, რომ თუ ერთი წლის წინათ რესპუბლიკაში ძველი ნიმუშის ნიტრატსაზომზე მოთხოვნილება შეადგენდა ხულ რაღაც ორ-სამ ათეულ ერთეულზე, ახლა „თბილხელსაწყოში" თავისებური გართულებებიც კი შეიქმნა, რომ ყველა განაცხადი დაკმაყოფილდეს.

ჩვენ გამოვნახეთ შესაძლებლობები, რათა გავადიდოთ მოდერნიზებული ნიტრატმზომის წარმოება. საწარმოს პირველ პარტიაში ათამდე ნიტრატმზომი გათვალისწინებული იყო თბილისის აგროსამრეწველო კომპლექსისათვის.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველო"

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

თამილა ჯანიკოს ასულ მეგრელს
ლადო ვარლამის ძე კენჭაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარული და ურთიერთპატივისცემა ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახის მეგზური.

საქართველოს ახალგაზრდული კავშირის ცაგერის რაიონული ორგანიზაცია.

გიორგი შამიდის ძე ლიპარტელიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. ვისურვებდით ერის სასახელო ვაჟკაცი გაზრდილიყო, ღმერთი გლოცავდეს და გფარავდეს ცხოვრების გზაზე.

გელა, მედიკო, თემური, თამილა, სოსო, ელისო ლიპარტელიანები.

შვილები ციალა, ციცო, ნური, ძმა შალვა, მული სერნო, შვილიშვილები ლალი, მარიკა, ინგა, შვილთაშვილები ლანა, ლევანი, ძმისშვილები ლავიკო, მაყვალა, მანანა, სიძეები ვაჟა კოპალიანი, ვალერი კილასონია, გრიგოლ ბურჯალიანი, გოგი ფურცხვანიძე, ძმისშვილიშვილები მერაბი, გია, მირიან, ავთო, მადონა, ხათუნა, რძლები მარო, ქეთო, ნანული, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დარიკო კიმოთეს ასული
გოგებაშვილი-ლაკვეხელიანი.

დაკრძალვა 5 იანვარს, შაბათს, სოფ. ლაჯანაში.

ალიოშა, დათო, ემზარ, ნელი, მერი, ციცო ბრეგვაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რეზო ტვილდიანი.

მარო ელიავა, დავით ხვადაგიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რეზო ვალიკოს ძე ტვილდიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ლუხვანოს არასრული საშუალო სკოლის პედკოლექტივი თანაუგრძნობს ციცო და ვაჟა კოპალიანებს დედის და სიდედრის

დარიკო კიმოთეს ასული
გოგებაშვილის

გარდაცვალების გამო.

შვილები კუკური, შოთა, თინა, ნაზიკო, ჩიტო, ნანული, რძლები ლალი, ლიდა, შვილიშვილები ნონა, ვალერი, მაია, ნატო მუშკუდიანები, მაყვალა ბერიძე, შმაგი, დათო, როინი, ნანი, გოჩა ქომეთიანები, გენადი ზივზივაძე, ძმა დავით ყურაშვილი, დები ოლია, ანიჩკა, სიძეები რამაზ ბურჯალიანი, გივი კვირკაშვილი, გრიშა ქომეთიანი, ოთარ მაჭარაძე, რომან ზივზივაძე, იური ჩოგოვაძე, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, დისშვილები, ძმისშვილები, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნადია ექვთიმეს ასული
ყურაშვილი-მუშკუდიანი.

დაკრძალვა 6 იანვარს, კვირას, სოფ. ოყურეშში.

ძმა შალვა, ძმისშვილი ლავრენტი, რძლები ქეთო და მარო, ძმისშვილები, ძმისშვილიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დარიკო კიმოთეს ასული
გოგებაშვილი-ლაკვეხელიანი.

აგრაფინე, დარეჯან, მედიკო, გრიგოლ, ავთანდილ ხმელიძეები, ეუეუნა, გურამ ბაკურაძეები, ნორა, მზია, გენადი მუშკუდიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ მანანა, გივი ხმელიძეებს ძმისა და ცოლისძმის

რეზო ვალიკოს ძე ტვილდიანის

გარდაცვალების გამო.

დედა შურა, მეუღლე მარინე, შვილი ლევანი, ძმები ჯემალი, ბორისი, და მანანა, სიდედრი რაისა, ცოლისძმა გელა კოშაძეები. ბიძები სერგო, შოთა, ვარლამი, მიხა, დეიდები ნინა, როზა, მამიდები პელო, თამარი, სიძე გივი ხმელიძე, ბიცოლები ანა, ვერა, ძმისშვილები, დისშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რეზო ვარლამის ძე
ტვილდიანი.

დაკრძალვა 6 იანვარს, კვირას, სოფ. ლასურიაშში 4 საათზე.

მამიდა ნინა, მამიდაშვილები ნოდარი, ვიტალი მუშკუდიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლოლა ვალიკოს ასული
კუხალაშვილი.

დაკრძალვა 3 იანვარს, ხუთშაბათს წყალტუბოს რაიონის სოფ. ჩუნეშში.

ბესო ქომეთიანი, რომან ყურაშვილი, ლეო, ჯემალ ახვლედიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ მანანა, გივი ხმელიძეებს ძმისა და ცოლისძმის

რეზო ტვილდიანის

გარდაცვალების გამო.

მურმან ომანაძე, გივი ყურაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნანული, ეური ომანაძეების ოჯახებს

ავთო ინდიკოს ძე ომანაძის

გარდაცვალების გამო.

მამიდა თამარი, მამიდაშვილები იური, ელეონორა ჩხეტიანები, რძალი მანანა ყურაშვილი, ბიცოლა ნანი, ბიძები ალექსანდრე ჩხეტიანი, ტრისტან, ჭიჭიკო გორგასლიძეები, ბიძაშვილები თამილა, რადმილა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მირიან გივის ძე გორგასლიძე.

დაკრძალვა 5 იანვარს, შაბათს ქ. ქუთაისში.

ალპანის სამკერვალო საწარმოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ტრისტან გორგასლიძეს და აზა ბურჯალიანს ძმისშვილისა და დეიდაშვილის

მირიან გივის ძე გორგასლიძის

გარდაცვალების გამო.

მეზობლები ტარიელ, ბიჭიკო გუგავები, ბიჭიკო მურცხვალაძე, ეორა ხეცურიანი, დავით შკუბულიანი, მერი იმედაშვილი, რომან ყურაშვილი თანაუგრძნობენ ციალა დოლბაიას დედის

დარიკო ლაკვეხელიანის

გარდაცვალების გამო.

ლაჯანის საშუალო სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს ციცო ლაკვეხელიანს დედის

დარიკო გოგებაშვილი-ლაკვეხელიანის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები ვასილ, თამაზ სვანიძეები, ალექსანდრე მუშკუდიანი, თემურ კანაჩაძე, შამილ ბრეგვაძე თანაუგრძნობენ იური კაპანაძეს დედის

სეფორან ბრეგვაძე-კაპანაძის

გარდაცვალების გამო.

რაიონის სამედიცინო საზოგადოება თანაუგრძნობს იური კაპანაძეს დედის

სეფორან ბრეგვაძის

გარდაცვალების გამო.

ეორა, რეზო, დათო ლეთოდიანები, შოთა კოპალიანი, მიშა ფოჩხიძე, ლუდვიკ ხეცურიანი, თამაზ, პოლიშკა თაგვაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სეფორან ბრეგვაძე

თინა დოლბაია, ნინო კვირკაშვილი, თამარ ქავთარაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დარიკო კიმოთეს ასული
ლაკვეხელიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რაიონის ვეტერინარული სამსახური თანაუგრძნობს იური ჩხეტიანს ბიძაშვილის

მირიან გივის ძე გორგასლიძის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის——22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41, საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის საშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №1 ტირაჟი 4513

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.